საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8601/01
13/08/2021

8601-01-2-202108131229

შპს „კერამიკა ელ ტორენტე+"-ს
მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N49ა
ელ. ფოსტა: ceramica@eltorrente.es;
metekhicet@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 9 ივლისის N12099 განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარედ აგურის საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე. ვინაიდან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ძირითადი სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები უკვე ჩატარებულია, ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 ივლისის N2-1012 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N30 (02.07.2021) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.7 ქვეპუნქტის (კერამიკული თიხის წარმოება (გარდა ტრადიციული წესით საოჯახო მეურნეობაში წარმოებისა), კერამიკული პროდუქციის (კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილის ან ფაიფურის) წარმოება) საფუძველზე, გზშ-ის ანგარიშის სახელწოდება საჭიროებს კორექტირებას და სკოპინგის დასკვნასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტექნიკური წყლის აღება დაგეგმილია მდ. მტკვრიდან, ხოლო წყალაღების წერტილის კოორდინატები მითითებულია საორიენტაციოდ. დაზუსტებას საჭიროებს წყლის ამოღების წერტილი, მათ შორის თვეში/წელიწადში აღებული წყლის რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის გარე წერტილი მდინარე მტკვრიდან დაშორებულია 30 მ, ხოლო საწარმოს ძირითადი შენობა, სადაც განთავსებული იქნება საწარმოო დანადგარები - 200 მეტრით, რაც უზრუნველყოფს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იყოს დოკუმენტში;

- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესი ითვალისწინებს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას შესაბამისი გაწმენდის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გზშ-ს თან უნდა ერთვოდეს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების საცავის (დიზელის რეზერვუარი) განთავსების GPS კოორდინატი;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნავთობდამჭერიდან და სალექარიდან ამოღებული შლამისა და ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 1 ტ პროდუქციის მისაღებად საჭიროა 1.5 ტ ნედლეულის გადამუშავება. შესაბამისად, საწარმოში გადამუშავებული ნედლეულის რაოდენობა დღეში 148 ტ, ხოლო წელიწადში 54000 ტონას შეადგენს (გვ. 26). ზემოაღნიშნული გაანგარიშება საჭიროებს კორექტირებას;
- 2021 წლის 2 ივლისის N30 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის შემოტანის და გატანის (სიხშირის) შესახებ (ტრანსპორტირების სქემა/გეგმა). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წარმოებული პროდუქციის გატანა, მისი სიხშირე და მოცულობა დამოკიდებული იქნება კლიენტების მოთხოვნაზე. ამასთან, პროდუქციის გატანა შესაძლებელია მოხდეს, როგორც საქმიანობის განმახორციელებლის (საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით), ასევე დამკვეთების მიერ. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნედლეულის და მზა პროდუქციის სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ,,როგორც პროექტით არის გათვალისწინებული საწარმოში ხელმეორედ მოხდება ტექნიკური წყლის გამოყენება და ნარჩენი წყალი არ ჩაედინება მდ. მტკვარში" (თავი 5.2.6; გვ. 79). დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია ტექნიკური წყლის ხელმეორედ გამოყენების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული/სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე